ელექტრონული ბიბლიოთეკა

ნახ. ჯ. ლოლუასი



№ 12 (1382) ივნისი 1972

# ნიანგი

გამოცემის 49-ე წელი ფასი 20 კაპ.

უიავნანობამ რა ჰქმნა?

— მოდი, შვილო, ჩემთან, დედა ვარ შენი!
— დედაჩემი შენ კი არა ბებიაჩემია.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანოს — გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ 1972 წლის 30 ივნისს პირველი ნომრის გამოსვლის 50 წლისთავი შეუსრულდა.




## „ნიანგი“ — „ზარია ვოსტოკას“!

ხარ საქართველოს ცხოვრება — რუსულად ნათარგმანები,
მუდამ აღსავსე სიახლით და შემოქმედი ძალებით!

ერთგულ უფროს ძმად მეგულვი, მეამაყები ესოდენ,
მახარებს შენი ზეიმი მე — შენი კარის მეზობელს!

დიდი რუსეთის ენაზე თქვი ჩვენი ერის სათქმელი
და გააცანი მსოფლიოს ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო და ქ ა რ თ ვ ე ლ ი!

იუმორსა და სატირას გრძნობ უცდომელი გუმანით,
ძალიან ბევრჯერ ვყოფილვარ შენი ფურცლების სტუმარი!

იყავ ასეთი მართალი, საინტერესო, ხალასი!
დიდხანს გეფინოს ნათელი ყ ა რ ყ ა რ ა შ ვ ი ლ ი შ ა ლ ვ ა ს ი!

რომ ბრწყინავ ხალხთა ძმობისა და მეგობრობის ოქროთი, —
მადლობას გიხდის „ნ ი ა ნ გ ი“ — То есть, Грузинский «Крокодил»!

## კაცი ვარ და ქუდი მხურავს

ნული ბიბლიოთეკა

(ახალი ვარიანტი)

კაცი ვარ და ქუდი მხურავს, ქუდს არ ვუხდი არავის,
თბილისში მაქვს კოტეჯი და წყნეთში ერთი „კარავი“

ფულს დავხარჯავ, თუ მაქვს ჩემი, ანდა სხვისას
ავწაპნი,
რქებს ვერავინ ვერ დამადგამს, მე კი ბევრ სხვას
დავჯაბნი.

კაცი ვარ და საცოლე მყავს, ვერც ვინატრებ უკეთესს,
მამაჩემი კანდიდატის ხარისხს „ლევად“ უკეთებს.

თუკი რამე გაუჭირდა, მის ხელშია ხალტურა,
ფულს ჩაყრის და სულ იყიდის იმ შენს ასპირანტურას.

კაცი ვარ და ჩემი ქუდი რესტორანში ჰკიდია,
ქეიფს გარდა რა შემრჩება — ეს ცხოვრება ხიდია.

ვენაცვალე ჩემს ძმაკაცებს, კაპიკზე არ მყიდიან,
ჩემ გულისთვის კაცს მოჰკლავენ, ყოველ რისკზე
მიდიან.

სკოლა უკვე დავამთავრე, ვქენი დიდი სიკეთე,
ბიძაჩემი ინსტიტუტში საქმეს „ბლატით“ მიკეთებს.

გავიზრდები, გავლაღდები, მაქვს ამისი სახსრები,
ახლა ისეც ვაჟკაცი ვარ და მთლად მხეცი გავხდები.

ვანო ცინცაძე

(ნიანგის რეიდი)

# მონტე-კარლო

რაც საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ახალი შენობა მზეთუნახავივით მოევლინა ჩვენს დედაქალაქს, ფილარმონიის ბალი ერთხანს ისე გამოიყურებოდა, როგორც უალიმენტოდ მიტოვებული ბავშვი, მაგრამ, მადლობა ღმერთს, ფილარმონიის ბალი ისევ გახალხმრავლდა.

გაჩნდა აფიშა „ატრაქციონი — 71“: „ავტოდრომი“, „ნადირობა ჯუნგლებში“, „დაბომბვა“, „სროლა“, „კოვბოი“, „ოქროს ხელი“, „ბომბდამშენის გადაფრენა“ და სხვა. გართობის დაუოკებელი სურვილი და აფორიაქებული ცნობისმოყვარეობა სნაიპერივით უმიზნებს თვით ყველაზე ხელმოჭერილი კაცის ჯიბესაც.

ერთობიან ბავშვები და უფრო კი — დიდები. მიღებული სიამოვნება უსაზღვროა და ფილარმონიის თავკაცების სამადლობელს გულში ყველა ამბობს, მაგრამ არის ერთი კანონი — ყველა საგანს აქვს მარჯვენა და მარცხენა, ჩრდილოეთი და სამხრეთი, ზედა და ქვედა, კარგი და...

ყველა გასართობს ბრჭყვიალა ეტიკეტად ამშვენებს დასავლეთ-გერმანული, იაპონური, იტალიური და ფრანგული ფირმების დასახელება, ისმის გამაყრუებელი კაკაფონია, უცხოური მუსიკა თან ახლავს ყველა გასართობს და ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ეს მუსიკა მამოძრავებელი მექანიზმის ნაწილია, რომლის გარეშეც არ ამუშავდებოდა არც ერთი მანქანა.

აფსუს, ქართული მუსიკა! არა და, რა არ ჩაეტევა მის ტაქტსა და მელოდიაში, რომელ კარუსელს არ დააბზრიალებდა ჩვენი ტემპიანი სიმღერები. ამის თაობაზე თურმე, დირექციის სათანადო განკარგულებაც არსებობს, მაგრამ ჯერჯერობით იგი რჩება ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.

ფილარმონიის ბალი მღერის უცხოური განწყობილებით. სხვაც ბევრი ეუცხოებათ მომხმარებლებს, რასაც ხმამაღლა გამოთქვამენ. სწორედ ამ ხმამ მოაღწია „ნიანგის“ რედაქციამდეც, რამაც სარეიდო განწყობილება შეგვიქმნა.

ობიექტურობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ თვით ამ საქმის მესვეურებიც არ არიან გულზე ხელდაკრეფილი საქმოსნების მიმართ. ფილარმონიის დირექციამ 9 კაცი უკვე მოხსნა თანამდებობის ბოროტად გამოყენების გამო, მაგრამ, როგორც ჩანს საზოგადოებისა და საკონტროლო ორგანოების აქტიური ჩარევის გარეშე სრული წესრიგის დამყარება სრულიად წარმოუდგენელია.

ამჯერად სპეციალისტებთან ერთად „ნიანგი“ ეწვია „ჯუნგლებისა“ და „დაბომბვის“ ასპარეზს და გაეცნო მის ავანჩავანს.

მოვყვეთ თავიდან: იწყება ატრაქციონი, „ავტოდრომი“ მუშაობს, კონტროლიორი **გერონტი კიკნაძე** ატარებს უბილეთოებს და ხანდახან... ბილეთიანებსაც, რომლებსაც კონტროლს არ უწევს. აქვე კლიენტურას ქორივით თავს დასტრიალებენ „ჩამჯენები“ და „მექანიკოსები“: **სერგო ხაჩატურიანი, შურა გრიგორიადი** და სხვები, რომლებიც კონტროლმოუხეველ ბილეთებს კრეფენ და ერთობ კარგი მოსავალიც აქვთ. შემდეგ ეს უბრალო ფარატინა ქაღალდები მიაქვთ უკანვე სალაროში. მოლარე **ცაცა ნატმელაძეს** არაფერი დარჩენია გარდა იმისა, რომ ეს დაბრუნებული ბილეთები კვლავ ფულად აქციოს. „სამწუხაროდ“, **ცაცამ** იმ დღეს 91 კონტროლმოუხეველი **ბილეთის** უკან დატრიალება ველარ მოასწრო და თავის გამართლება სამი ვარიანტით სცადა: 1) „არ ვიცი, ვიღაცამ შემოაგდო და გაიქცა“, 2) „შურიკამ მომიტანა“, 3) „კლიენტებმა დამიბრუნეს“. სამივე ეს არგუმენტი, ჩვენი განსჯის გარეშეც, ერთიმეორეს გამორიცხავს.

კონტროლიორ **გერონტი კიკნაძეს** 22 მანეთის რაოდენობის დაჭმუჭნილი მანეთიანები აღმოაჩნდა და... დაიწვა! თუმცა ოდნავადაც არ აღაჟღაჟებია ლაწვები, ისე გვიპასუხა: „ვისი რა საქმეა, ასეთი ხასიათი მაქვს, სახლში ვჭმუჭნი ფულს და სამსახურში ისე მოვდივარო.“ რას იტყვით, ქვას გახეთქავს, ისეთი პასუხია.

კიდევ ერთი საინტერესო „გამოკვლევა“ ჩავატარეთ: ატრაქციონის მუშაკებს აულიათ ფრანგულ-ქართული ლექსიკონის აკადემიური გამოცემა (ამ გამოცემაში განმარტებულია „ატრაქციონისა“ და „ავტოდრომის“ მონათესავე უცხო სიტყვები) და დიდი მუშაობის შემდეგ სერიოზული კორექტივები შეუტანიათ, თავისებურად „გადმოუქართულებიათ“, მაგალითად:

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ᲓᲔᲓᲘᲡ ᲜᲔᲠᲘᲚᲘ

ჩემი ზურაბ მანდ არის,
ჰყიდის ვარდს და მანდარინს —
გაზაფხული, ზაფხული,
შემოდგომა, ზამთარი.

გ ა რ ე გ ნ უ ლ ი  ნ ი შ ნ ე ბ ი:
შავგვრემანი, გამხდარი.
თ ვ ი ს ე ბ ე ბ ი: უქნარა,
უსირცხვილო, წამხდარი.

უყვარს აყალმაყალი,
ხეტიალი, წანწალი,
ზურნა, დოლი, გარმონი,
„ადანდალი-დანდალი".

მე მოვხუცდი, არა მყავს
შვილიშვილი და რძალი...
გეხვეწებით: მიშველეთ,
სოფლისაკენ დასძარით!

ᲒᲐᲗᲣ ᲛᲔᲚᲘᲐ

## ᲣᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲝᲓ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚ ᲨᲕᲘᲚᲡ

სალამი, ჩემო ვაჟკაცო, გაზრდილო სიმწრის ოფლითა,
ის წელიც კი აღარ გვახსოვს, როდის წახვედი სოფლიდან.
დიდი ხანია გვჭირდება მოხუცებულებს პატრონი,
გვითხარი მაინც როდემდის ვიქნებით ასე მარტონი.
სახლზე არაფერს არ გეტყვი, მამულს შეხედავ — გაშრება,
ყოველ წელს ხეზე გვილპება ლოყაწითელა ვაშლები.
მანდ გაკეთებულ ღვინოს სვამ, ვითომ ჯავრი გაქვს ფარული,
აქ უპატრონოდ ძმარდება თავკვერი ნატურალური.
აღარა ვჩივით არაფერს, აღარც შენ გეტყვით ამის მეტს,
ბოლო დროს მაინც მოგვხედე, ნუ გააცინებ ჩვენზე მტერს.
ან არა, ერთს გთხოვთ გულითა, ბოლმა რომ არ დავიგროვოთ,
გამოგვიგზავნე პასუხი, მოხვალ თუ გამოგიგლოვოთ.

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲛᲐᲛᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ



ნახ. გ. ფირცხალავასი

— ხედავ, როგორც კი დაირტყა იზოლირებული გალია, მაშინვე რამდენი თაყვანისმცემელი გამოუჩნდა.

# ᲤᲘᲚᲐᲠᲛᲝᲜᲘᲘᲡ ᲑᲐᲦᲨᲘ

1. **ატრაქციონ-ი** (ფრანგ.) — საცირკო პროგრამის ეფექტური ნომერი, რომელიც განსაკუთრებით ბევრ მაყურებელს იზიდავს.

1. **ატრაქციონი** (ფილარმონიულად) — გასართობი პროგრამის ეფექტური ნომერი, რომელიც განსაკუთრებით ბევრ გასატყავებელ კლიენტს იზიდავს.

2. **ავტოდრომ-ი** — სპეციალური მოედანი, სადაც ხდება ავტომობილებით შეჯიბრება ან ავტომობილების გამოცდა.

2. **ავტოდრომი** — სპეციალურად შემოღობილი მოედანი, სადაც ხდება უბილეთოდ შეშვება ნაღდ ფულზე. ზოგჯერ ბილეთიანებსაც უშვებენ.

3. **ბილეთ-ი** — პატარა ფურცელი ან ბარათი, რომელიც იძლევა სადმე შესვლის, რამეთი მგზავრობის, რისამე მიღების უფლებას.

3. **ბილეთი** — მანეთიანი, რომელიც იძლევა რისიმე გამორჩენის უფლებას.

4. **სახაზინო ბილეთი** — ქაღალდის ფულის ნიშანი.

4. **სახაზინო ბილეთი** — ჯიბეში ჩაჭმუჭნილი ფული.

5. **კონტროლიორ-ი** — პირი, რომელიც კონტროლს უწევს.

5. **კონტროლიორი** — პირი, რომელსაც ახვეული აქვს თვალიც და პირიც, კონტროლს არ უწევს.

6. **ილუზიონიზმ-ი** — 1. ანტიმეცნიერული სუბიექტურ-იდეალისტური მსოფლმხედველობა, რომლის მიხედვითაც მატერიალური სამყარო არის მხოლოდ მოჩვენებითობა, ილუზია. 2. საცირკო ხელოვნების ერთ-ერთი სახეობა — საგანგებო აპარატურის გამოყენებით მაყურებლებში „სასწაულის" შთაბეჭდილების შექმნა (მაგ., გაქრობა ან გაჩენა საგნებისა, ადამიანისა, ერთი საგნის მეორედ გადაქცევა და სხვ.).

6. **ილუზიონიზმი** — საატრაქციონო ხელოვნების ერთ-ერთი სახეობა — საგანგებო „ჩამჯენების" გამოყენებით, მაყურებლებში ნამდვილი „სასწაულის" მოხდენით (მაგ., ბილეთის გაქრობა და ისევ გამოჩენა ან მოხეული ბილეთის გამთელება და სახაზინო ბილეთად გადაქცევა).

ვფიქრობთ, ასეთი განმარტების შემდეგ ყველაფერი გასაგები და ცნობილია. მრავალუცნობიანია მხოლოდ ერთი ამოცანა, კერძოდ ამოცანა № 1972: ავტოდრომზე ერთი მანქანით სეირნობა 4 წუთის განმავლობაში ღირს ერთი მანეთი, საათში თხუთმეტჯერ ოთხი წუთია. ავტოდრომზე საშუალოდ 20 მანქანა დასრიალებს. იგი მუშაობს 10 საათის განმავლობაში.

**ამოცანა გვეკითხება:** რას უდრის დღიური შემოსავალი ფილარმონიის მონტე-კარლოს ავტოდრომზე და რამდენი რჩებათ **საქმოსნებს?**

ამ ამოცანის ამოხსნაზე უკვე მუშაობენ სათანადო ორგანოები.

ᲨᲐᲜᲘ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲫᲔ
ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲛᲐᲖᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ

# ტრაგიკომედია სამ მოქმედებად

## მოქმედება პირველი: კონცერტი

მოქმედების ადგილი სპორტის სასახლე, ფილარმონიის დიდი და მცირე დარბაზები, ან ნებისმიერი დარბაზი. მოქმედება, სამწუხაროდ, სწარმოებს XX საუკუნის 70-იან წლებში.

მოქმედი პირნი: ესტრადაზე... საზღვარგარეთიდან ჩამოსული პირნი. მაყურებელთა დარბაზში — უაზროდ დაღებული პირნი. უმოქმედო პირნი — მშობლები, აღმზრდელები და სხვა პასუხისმგებელი პირნი.

— ალო, ალო! ჩვენი მიკროფონები დგას ესტრადაზე. თქვენს წინაშეა საზღვარგარეთული ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „ეშმაკუნა დიაკვნები“, — გამოაცხადა წვერულვაშიანმა კონფერანსიემ.

პირველი ტაში სამმანეთიან რიგებს შორის. ორმანეთიანი რიგები სდუმან. მანეთი და 45-კაპიკიანები იშმუშნებიან, მანეთიანები ოდნავ იღიმებიან.

ანსამბლმა დაუკრა შესავალი ნაწილი.

— ახლა იმღერებს ცნობილი მომღერალი, სან-რემოს ფესტივალის ლაურეატი ლარა უზუნდაროვიჩი.

ესტრადაზე მოკლე შარვლით, ისრიანი ჩულქებითა და დონ-კიხოტის ჩექმებით გამოვარდა მკერდჩაღლეტილი „ანგელოსი“.

— ვაააა! — აღმოხდა სამმანეთიან რიგს...

— ხო, ხო, ხო! — აღფრთოვანდნენ ორმანეთიანები.

— იიიიფ! — შექანდნენ მანეთი და 45-კაპიკიანები.

— მმუუუუ! — იღმუვლეს უფასოდ შემოსულებმა.

მომღერალმა ანგელოსმა მიკროფონი კეხურა ვაშლივით მოაძრო და ცხვირზე მიიდო. გრძელთმიანი ბიჭების აკომპანიმენტზე დაიწყო პოპ-სიმღერა.

— ლა-ლა-ლა! — კნაოდა „ანგელოსი“ და თან ციებიანივით ცახცახებდა.

— ჩიპ-ჩირიპ! ჩიპ-ჩირიპ! — მხარი აუბეს „დიაკვნებმა“.

სამმანეთიანები შეირხნენ, ორმანეთიანებმა ტაში დაჰკრეს, მანეთიანები სიმღერას აჰყვნენ.

შემდეგ მომღერალმა და ანსამბლმა ტემპს მოუმატეს, პროჟექტორის მრავალფეროვანი ულტრა-სხივები ესტრადაზე იბნეოდა. გიტარისტი „დიაკვნები“ ირხეოდნენ, მომღერალმა ანგელოსმა ელექტრო-მოდიფიკაციურ ეფექტს ველარ გაუძლო და მიკროფონი გადაყლაპა. მედოლე გაცოფდა, სულ თმები დაიგლიჯა. ჯოხებს ლაწალუწი გაჰქონდათ (ხელოვნება, როგორც ჩანს, ინვენტარის მსხვერპლსაც მოითხოვს).

— ლა-ლა-ლა! — კნაოდა „ანგელოსი“.

— ჩიპ-ჩიპ-ჩიპ! — ექსტაზში შევიდა დარბაზი.

— იე-იე-იე!.. — ზმუოდნენ „დიაკვნები“.

— ააა! — ყვიროდნენ სამმანეთიანები.

— უუუ! — კიოდნენ ორმანეთიანები.

— ოოოო! — ფეხებს აბრაგუნებდნენ მანეთი და 45-კაპიკიანები.

— ეეეე... — ყვიროდნენ დამლაგებლები.

მანეთი და 45-კაპიკიანები და ორმანეთიანები ერთმანეთში იაფფასიანი ბეტონივით აიზილნენ და უკვე მანეთიანებივით იქცეოდნენ.

მიკროფონთან გავიდა მიტრამოსილი „მღვდელი“. კაი ასი ოყა ვაჟკაცი იქნებოდა (ოყა-1200 გრ.). ეს იყო საქსაფონისტი. მან საკრავი ჯერ წინ დაიკავა, შემდეგ ზურგს უკან, შემდეგ ფეხებშუა მოიქცია, ბოლოს დაწოლილმა უკბინა ფოლადის მილს და დაიწყო იმპროვიზაციის კასკადი.

მომღერალი იგრიხებოდა, ანსამბლი ზმუოდა, მაყურებელი ღმუოდა. სამმანეთიანები აირივნენ ორმანეთიანებში, ორმანეთიანები — მანეთი და 45-კაპიკიანებში, ეს უკანასკნელები — მანეთიანებში. აირია ნოტები, ადამიანები, რიტმი, ხმები, ფასები და კულტურული ინფლაციის შედეგად მათი ფასი კაპიკი გახდა.

— ბები, შეიძლება, ბოლო რიგში წავალ და იქიდან ვიყვირებ? — ეუბნება წვერწამოჩიტული ბიჭი ტომ სოიერის ბებიის ტყუპის ცალს.

— დაუფიქრდი, რას როშავ, ჩვენ ხომ სამმანეთიანი ბილეთები გვაქვს.

— ...ლა-ლა-ლა... ბები ჯო!

— ბები, წავიდეთ, გაგიჟდა ჯო? ... წავიდეთ რა უკან, ბები... აქ არ ღირს ჯდომა.

— მე სამი მანეთი გადავიხადე, იქ — მანეთი ღირს, — ჯიუტად უპასუხებს სათვალიანი ქალი.

— ჩიპ-ჩირიპ! — კვნესის ანსამბლი.

— დაგიბრუნებ შენ ორ მანეთს!.. — ყვირის ბიჭი და მეტი თავისუფლებისათვის მანეთიანი რიგებისაკენ გარბის.

ყველაფერი ერთმანეთში ირევა. ირევა ხმები, ფასები, ირევა ხალხიც, ვირევი მეც და გული მიმდის.

...როცა ბურანიდან გამოვერკვიე, იდიოტივით ვიცინოდი.

ორმა ექიმმა ერთმანეთს გადახედა.

— შიზოფრენია! — დაასკვნეს მკურნალებმა.

— „შიზოფრენია კი არა ჯაზოფრენია!“ — ვფიქრობ და ვიცინი.

— რა გაცინებთ? — მეკითხება მთავარი ექიმი.

— მიხარია რომ ცოცხალი ვარ! — გულწრფელად ვამბობ.

ალ. ეინგორინი

## მოქმედება მეორე: «მოდების ატელიე»-72

—ყურადღება! ყურადღება! ჩვენი მიკროფონები დგას „უკანასკნელი მოდების ატელიეში“. თქვენს წინაშეა ვ ა ჟ ე ბ ი ს კ ო ს ტ უ მ ე ბ ი:

№ 1. ფ ი გ უ რ ა — „ჯ ი გ ა რ ი“. ჭაბუკებისათვის — თხელი, ჭრელი კომბინეზონი, მაქმანიანი აჟურული ჟაკეტით. ეს მოდელი ხასიათდება „შტატნიკის“ მარკის გულისარევამდე „წარმტაცი“ გადაწყვეტით. ბლუზის საყელოში პლასტმასის კამეა — ბროშით, „ჟაბო-ჟელე-სანტაპანტა“, რაც მამაკაცს ანიჭებს ქალურ იერს.კამეას გამოთლა შეიძლება კბილის ფხვნილის 16-კაპიკიან ჯაგრისის პლასტმასის ტარიდანაც.

№ 2. ფ ი გ უ რ ა — „მ ა ს ტ ი“. მამაკაცის ტრიკოტაჟის თითქმის დედაკაცური ვარიანტი, გულივერის „ბიტნიკური“ მწვანე სათვალით და მე-17 საუკუნის ლაკონიური ლოკონებით. ამ გარნიტურს უხდება ჭუჭყიანი თმები კისრამდე. ბლუზა ჩაჭრილი. წინამდებარე მოდელით გატაცებულ ჭაბუკებს ვასწავლით ქსოვას „ა ლა დეიდა ჟორა“.

№ 3. ფ ი გ უ რ ა — „კ ლ ი ე ნ ტ ი“. კომპლექტის პრინციპია სრული უპრინციპობა ჩაცმა-დახურვის კულტურაში. თავზე პარიკის მსგავსი თმა, თვალებზე ლურჯი წამწამები, წელზე ფართო ქამარი, ქამარზე — ქისა, ქისაში — კაცის მანიკურების ბოთლი, ბოთლის გვერდით სამი ქვეჯიბე, შიგ — შამპო, ჩოკო, კონო.

ქ ა ლ ი შ ვ ი ლ ე ბ ი ს კ ო ს ტ უ მ ე ბ ი:

1. „კ ა ი ფ ი“ (იგივე „ბოღმა“). ჩაფართხუნებული „შინელისებური“, გარე ჯიბეში „რომისებური“, შიდა ჯიბეში — „შპრიცისებური“. ეს სეზონის გიჟური პალტო ფარავს კოჭებს, ჩექმებზე — დეზებს. ამ პალტოს შეუძლია დაფაროს მაუზერი, ხმალი, უნაგირი, მათრახი.

№ 2. „ს ვ ე ტ ი“ — ნაზი ქალიშვილებისათვის უხეში მამაკაცური ტანსაცმელი. ამ ვარიანტით ტრაპეციის შესაკერად ქალიშვილებმა მამებს უნდა გახადონ შარვლები და თვითონ ჩაიცვან. ფასონი-72: „ბონჟურ, პაპა“. ბედნიერმა მამებმა ჩაიცვან პიჟამო და ჯიბით ატარონ ვალიდოლის კომპლექტი.

№ 3. „გ ო ი მ ი“ — მოჭიდავე გოგონას სილუეტი. გარედან — „მაქსი“, შიგნიდან — „მინი“ ისეთი ტრაპეციით, რომ ყველაფერი მხოლოდ სანახევროდ გამოჩნდეს.

## მოქმედება მესამე: „განქორწინების სახლი“

„უკანასკნელი მოდების ატელიესთან“ „ჯიგრების“, „მასტების“, „კლიენტების“, „კაიფების“, „სვეტების“ და „გოიმების“ „კეთილმომსახურების“ მიზნით გახსნილია განქორწინების სახლი.

განქორწინების ვადაა ქორწინების შემდგომ არა უგვიანეს 1 კვირისა. ყოფილი წყვილები უნდა მოვიდნენ კენტებად დათქმული დროისათვის და წარმოადგინონ პრაქტიკული ცოლქმრობის სულ მცირე შვიდი დღის საქორწილო სტაჟი.

საჭიროა შეიქმნას საგარანტიო ხელწერილი, რომ ე. წ. „პენიას“ იხდიან მშობლები. (დედანი და მამანი).

დედისერთები, რომლებიც მშობლების მიერ დაშომშინებული არიან მსუბუქი ავტომანქანით, განქორწინდებიან უ გ ა მ ო ც დ ო დ.

როგორც არასრული და საშუალო, ისე უმაღლესი განათლების მქონეთათვის განქორწინების სრულიად საპატიო მიზეზია ღრენა, კბენა, ბწკენა, ურთიერთპანჩური, გაცვლითი წიხლი...

გაყრის პრეისკურანტი:

შეამოწმეთ, ვინ რას მიიღებს განქორწინების შემდეგ:

გაქვთ 1 „ვოლგა“ — მიიღებთ 2 „ზაპოროჟეცს“
„ 1 როიალი — მიიღებთ 2 გიტარას
„ 1 ტელევიზორი — მიიღებთ 2 ანტენას
„ 1 მაცივარი — მიიღებთ 2 ვენტილატორს
„ 1 აკვანი — მიიღებთ 2 შიბაქს.
„ 1 ფანქარი — მიიღებთ 2 საშლელს შთამომავლობისათვის
„ 1 ბავშვი — გაიგზავნება ბებიასთან და ყველა კმაყოფილი დარჩება, ბებიის გარდა.

ქართლოს კასრაძე

ნახ. დ. ერისთავისა



— თქვენი მოწმეები სად არიან?
— არავინ არ წამოგვყვა მოწმედ, არ ჯერათ, რომ მართლა ვთხოულობ ცოლს.

ნახ. ს. ცინცაძისა



— ჩადიხარ?
— თუ არ ჩამაგდებ, არა.

ნახ. გ. ფირცხალავასი



— ჭკუის გარდა ყველაფერი აქვს.
— ესეც შენი იღბალი, თორემ ჭკუა რომ ჰქონოდა, შენ არც გამოგყვებოდა.

## ჩარირამა, ბებია და შვიდქალა

ტელე-კინო-ესტრადიდან მოდერნიზმი გვიტევს ტემპით,
ოქტეტებით, სექტეტებით, კვარტეტებით, კვინტეტებით.
ეს რა მოდა შემოვიდა, (მოდა ისევ რჩება თემად)
სად წავიდა ომახიან სიმღერების შემართება?
ბაბუამ სთქვა: მოდერნისტულ სტილში მაშინ მაჟრჟოლებსო,
როცა ვისმენ მოდერნისტულ სიბემოლს და მაჟორებსო.
ვაჟთა ანსამბლს უსმენ კაცი, თითქოს მუსიკალურია,
მაგრამ ხმებს აღარ იკითხავთ? ხმები ზუსტად ქალურია.
ამ წრიპინა ანსამბლებით ლამის გული გადაქანდეს,
ლამის ქალი გადაკაცდეს, ლამის კაცი გადაქალდეს.
ნუთუ ბანსა და ბარიტონს, დღეს ხაზი აქვს გადასმული,
და შვიდკაცა რომ გვგონია, შვიდქალაა გადაცმული?
ვერ გაიგებ სიმღერაა, თუ ციცრების ყივილია,
ჭილყვავების ჩხავილია, თუ ტურების კივილია.
ვერ გაიგებ მუსიკაა, თუ ჯამ-ჭურჭლის ლიწინია,
ბაყაყების ყიყინია, თუ მამლების ხრიწინია.
ვერ გაიგებ იმპორტია, თუ ქართული ჰანგებია,
ქართველები მღერიან, თუ ეკვატორის ზანგებია.
ესო — პოლიფონიაა, არ გსმენიათ სოფელშიო? —
უთხრა ბაბუს დირიჟორმა საქსაფონა სოლფეჯიომ.
რაც გინახავთ, ვეღარ ნახავთ, ახლა „ხოდში“ მოდერნია,
რა დროს ჩარირამაა და რა დროს დელი-ოდელია.
რა უშველის ნეტა ამდენ მოდის ამყოლ მოგიკანსა,
შარვალს მაინც ვცეთ პატივი, თუ ულვაში მოგიპარსავთ!

მიხეილ გოგიაშვილი

ნახ. ჯ. ლოლუასი



— ახალგაზრდავ, ნება მიბოძეთ შეგეკითხოთ: რა მიზანს ისახავთ ცხოვრებაში?
— გულახდილად გეტყვით, ძალიან მინდა კარგი შავი სათვალე ვიშოვო!

# დედის დარიგება გათხოვილ ქალიშვილს

...თუნდაც განგებ,
შენს ბითურ ქმარს
დღე და ღამე ედიდგულე...
თავში ჩასცხე დეგენერატ
მაზლებსა და დებილ მულებს.
ადრე ღამით დაწექი და
წამოდექი გვიან დილით,
დედამთილი თუ შენიშნო
სარეცხ ქვაბთან მივარდნილი...
გვერდი ნაზად აუარე,
თითქოს არც კი დაგენახოს,
დაუხეთქე ყველას გული,
ყველა ერთად დაგემარხოს...
შევიშლები...
შენ და შვილი?
მსურს ფრინავდე ვარსკვლავეთში...
შენი ცხვირა დედამთილი
თუ შეჰყურებს ქმარს თვალებში,
იმ საბრალოს დამჭკნარ მკერდზე
დააბნიეს რა მედლები?
დამიჯერე, თორემ, გოგო,
ნაადრევად დაბერდები.
„მეცნიერი“ მამამთილი,
რომ ჰგავს ლანდს და მოჩვენებას,
როგორ გირჩევს თავის კრეტინ
შვილის ჯიშის მოშენებას...
ცოტა ლანძღვა არ აკმარო,
არ დაუდო არც ერთს თავი...
ახლოს აღარ გაიკარო
ქმარის ახლო ნათესავი.
მეტი თავაზიანობა
მოგაყენებს უფრო ზიანს...
გადაეცი, რომ შენი ძმა
ხულიგნების უფროსია.
შენს ქმარსა და შენს მამამთილს,
ქაჩალსა და ჰალარიანს,
გადაეცი, მამაშენი
ძველი ნაყაჩაღარია.
და თუ ვინმე აგიხირდა,
იმდენს ვურტყამ,
ვერ დათვალოს...
ველოდები პასუხს მალე,
აგრემც დედა გენაცვალოს.

ეთერ სამხარაძე-ჯღამაძე



ნახ. მ. აბაშიძისა

— რას უშვები, არქიფო, ამ გალანას?
— უმაღლესი დაამთავრა და მტკიცედ გადაწყვიტა სოფელში დარჩეს.

## არ მესმის

ბავშვობაში ჩვენ გვასწავლიდნენ დავხმარებოდით გოგონებს. ეს ითვლებოდა კეთილშობილებად. ახლა კი, როცა კაცი თავის მეგობრებში ტრაბახობს იმით, რომ შეურაცხყოფა მიაყენა ცოლს, მას ვაჟკაცად თვლიან. არ მესმის.

ბავშვობაში, როცა მე უფროსებს ველაპარაკებოდი, თავს ვხრიდი. ჩვენ ვიცოდით, უფროსების მიმართ მოკრძალება გვმართებდა. ახლა კი, როცა ახალგაზრდა ავტობუსში პაპიროსს ეწევა, უკადრის საქციელს სჩადის, უფროსები თავს ხრიან და თვალებს ხუჭავენ. არ მესმის.

სკოლაში, მათემატიკის გაკვეთილზე, როცა ერთ რიცხვს ვყოფდით მეორეზე, ჩვენ გვრჩებოდა განაყოფი და ნაშთი. ახლა კი, როცა სალაროში ვიხდით ფულს, ნაშთი მოლარეს რჩება. არ მესმის.

ანდრო კოკოლია

## გამოსავალი

ორი უმაღლესი დავამთავრე — ერთი დასწრებული, ერთიც — დაუსწრებელი.

დიპლომიანი კაცი არავინ წამაკარა იოლ და შემოსავლიან საქმეს.

არ ვიცი რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ასე, რომ ერთ დღეს გენიალური აზრი არ დამბადებოდა. ვეცი ჩემს დამღუპველ ორივე დიპლომს (დასაწვავად ვერ გავიმეტე), პერგამენტის ქაღალდში შევახვიე და ბოსტნის ერთ კუთხეში დავმალე. სასწრაფოდ ავიკარი გუდა-ნაბადი. სხვა რაიონში გადავბარგდი. რადგან არც პროფესია გამიმხელია და ხელობის ცოდნაზეც უარი ვსტკიცე, საწყობში მომაწყვეს... ხელახლა დავსახლდი. ახლა ჩემს ეზოს რკინის მაღალი მესერი და შინდისფერი „ვოლგა“ამშვენებს. მეც გავერიე ბიკენტიებში და თვითონაც ხახულიჩო გავხდი. მაჰანკლები მოსვენებას არ მაძლევენ. ვერ გადამიწყვეტია ამდენ ანგელოსში რომელი ავირჩიო.

ვცხოვრობ რომ უნდა ისე, მაგრამ გულზე მაინც ერთი დარდი მაწევს: ვაითუ გამიგონ დიპლომიანი რომ ვარ. ვინ შემომხედავს მერე!

ვინავარ თუიციძე

ნახ. ზ. ფორჩხიძისა



— ამ სტუდენტმა ჩემი ტვინი წაიღო, ერთი სამიანი დამიწერეო!
— თუ შენი ტვინი წაიღო, სამიანი ქე ეკუთვნის, შე კაცო!

## სატირულ-იუმორისტული დებიუტი

ნახ. ნ. მინჯარაშვილისა



უსიტყვოდ

# რუსთაველის პროსპექტზე

ამას წინათ სამსახურიდან საკუთარი მანქანით მივდიოდი. გზაზე ნექით დაკავშირებული ორი ქალიშვილი შემომხვდა. უცხოურ მოდაზე ეცვათ: ერთი, გულმოღლეტილ-ჩაფართხუნებულ გრძელ და ვიწრო კაბაში ძლივს ადგამდა ფეხს, მეორე, უფრო ბიჭურად იყო გამოწყობილი — ჯინსებსა და კოვბოურ სამხრეებიან ბლუზაში, თუმცა ნაზი სქესისათვის დამახასიათებელი სამკაულები არც მას აკლდა. კულონი ეკიდა დალალებით დაფარულ მწყაზარ კისერზე და მინანქრიანი გულის ქინძისთავი უმშვენებდა ჟაბოიან ზედასამოსს.

როცა ცაზე საავდრო ღრუბლები ირევიან და ცოტას კიდეც წამოწინწკლავს, ქუჩებიც ირევა, ხალხი თავშესაფარს ეძებს. სწორედ მსგავსი ჟამი გახლდათ და ამ ორმა მშვენიერმა არსებამაც თავშესაფარი მთხოვა.

ასეთ მომენტს, ალბათ, მხოლოდ ას წელს გადაცილებული კაცი თუ გაუშვებს ხელიდან, მე კი, როგორც მატყობთ, ამ ხნის არ გახლავართ და, ცხადია, დიდი სიამოვნებით დავამუხრუჭე ჩემი „ჟიგული“.

— მობრძანდით, დაბრძანდით... — ზომაზე მეტი თავაზიანობით გავაღე კარები.

— გმადლობთ. — მითხრა გულმოღლეტილმა, ნაზად დამიკრა თავი მეორემაც.

— საით?

— ვგიჟდებით, ისე გვიყვარს წვიმაში სიარული... — გულღიად თქვა გულმოღლეტილმა.

— აჰა... — დაეთანხმა კულულების ნაზი რხევით მისი თანამგზავრი.

გუნებაში ვარჩევ პარტნიორს ჩემს მეგობრებს შორის, ვის დავურეკო, ვის გავუარო?... — გივის, კარლოს თუ ომანს?. აბა ერთს ორ გოგოსთან რა მინდა... ეჰ, ამისთანა ანგელოზები იყოს, თორემ პარტნიორს როგორმე ვიშოვი, — ვფიქრობ გუნებაში და პირდაპირ ოპერაციას ვიწყებ.

— ვფიქრობ დროა გავიცნოთ ერთმანეთი, — გადავდივარ შეტევაზე.

— დიდი სიამოვნებით... — თამამად მიწვდის ხელს გულმოღლეტილი, — გულსუნდა.

ახლა მეორე ნაზ ქმნილებას ვუწვდი ხელს და უცებ ... მარწუხებში ვხვდები. ასეთი საოცარი ძალის გოგო ჯერ არ მინახავს!?

— ვახტანგი! — ვეუბნები სწრაფად ჩემს სახელს, რომ ხელი გავითავისუფლო.

— დათიკო! — ამბობს იგი და კრეტინივით იცინის, რადგან აშკარად ამჩნევს, რომ ისიც ქალი მეგონა.

ზოგი

## სიყვარული და მსხვერპლი

ავტობუსში ამოხვედი თუ არა, მაშინვე თვალი დამადგი. სიხარულისაგან გული ამიჩქროლდა. ვიფიქრე მოვეწონე-მეთქი, არც შევმცდარვარ. გვერდით მომიდექი. მაჯაზე ხელი მომკიდე... გავწითლდი... თავი დავხარე, შენ თვალებში შემომციცინებდი.

კარგა ხანს გაგრძელდა ეს ფარული ალერსი, შენ ნაზად მიღიმოდი.

შემდეგ ქალურმა თავმოყვარეობამ გაიღვიძა ჩემში და ავტობუსიდან ჩავედი.

მივიხედ-მოვიხედე, ვერ დაგინახე... გული დამწყდა, რომ არ გამომყევი... მერე გამახსენდა, რომ ინსტიტუტში მაგვიანდებოდა, დედისეულ ოქროს საათს დავხედე, გავშრი... ჯერ ისევ ეტყობოდა მაჯას სამაჯურის ვარდისფერი ნაკვალევი.

ეთერ დანელიშვილი

ნახ. ზ. ფორჩხიძისა



— კარგი სიძე გიშოვია, ჩემო გიკენტი, მოგილოცავ!

— რას მილოცავ, კაცო, ჯერ ქალი მთხოვა, მერე — მანქანა და ახლა ყოველდღე ფულს მთხოვს.

ნახ. ვ. ჩაგანავასი



უსიტყვოდ

ნახ. მ. მუნცაძისა



გაზაფხული

მთავარი რედაქტორის მოადგილე
ვიზო ნოზაძე

სარედაქციო კოლეგია: ზ. ბოლქვაძე, (პ/მგ. მდივანი), ს. ქალდიაშვილი, ნ. დუმბაძე, (მთავარი რედაქტორი), ნ. მალაზონია (მხატვრული რედ.), ნ. შველიძე, ო. ჭელიძე. ⊙ სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“ ⊙ ტექნიკური რედაქტორი მ. ქუხალაშვილი, ⊙ მისამართი: რუსთაველის პროსპექტი № 42, ტელ. რედაქტორის 99-76-69 რედ. მოადგილის 93-49-32 საერთო განყ. 93-10-78. ⊙ საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, ⊙ გადაეცა ასაწყობად 26/V-72 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 3/VII-72 წ. ⊙ ქაღალდის ზომა 70x108 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,4 ⊙ საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № ⊙ შეკვ. 1883 უე 01930 ტირაჟი 130.250 ⊙ ТБИЛИСИ САТИРИКО-ЮМОРИСТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ «НИАНГИ». ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ ⊙ ТИПОГРАФИЯ ИЗД-ВА ЦК КП ГРУЗИИ, ТБИЛИСИ, УЛ. ЛЕНИНА № 14

72-483
7
1972

Индекс 76137

ორ დღეში ამერიკის მხედრიონმა ვიეტნამში დაკარგა ოთხმოტორიანი უახლესი ტიპის თვითმფრინავი „ეს-130“. ასეთი თვითმფრინავის აგება ჯდება 7 მილიონი დოლარი.




— ასე. კაერში იფანტება ჩვენი მილიონები

ნახ. ზ. ფორჩხიძისა

იორდანიის მეფე ხუსეინმა განაცხადა, რომ თანახმაა იორდანიამ და ისრაელმა შექმნან ერთობლივი ადმინისტრაცია იერუსალიმში, რომელიც უნდა იქცეს „ღია ქალაქად“.

ბეირუთის გაზეთი „ან-ნახარი“ წერს, რომ ეს „უპრეცედენტო დათმობა აჭარბებს იზრაელისადმი აქამდე მომხდარ ყველა სხვა დათმობას“.



აღმოსავლური ამოცანა გვეკითხება: რომელია მეფე?

483
21.VII 72

პატრიოტები ინდოჩინეთის ყველა ფრონტებზე გადავიდნენ გადამწყვეტ შეტევაზე.

„ნიუ-იორკ დეილი ნიუსი“ იძულებულია აღიაროს, რომ ამ უკანასკნელ ხანს სამხრეთ ვიეტნამში ამერიკელებმა სისხლისმღვრელი ომის წლისთავზი „უძლიერესი დარტყმები“ იგემეს.




მერვე რაუნდი

აშშ-ში შეიქმნა დღემდე ყველაზე უფრო საიდუმლო სადაზვერვო სამსახური (სი-იუ-ეს-აი), რომელიც უშუალოდ ემორჩილება მთავრობას.




— ყველაზე საიდუმლო დაზვერვის სამსახური შევქმენით, მაგრამ უკვე მთელმა მსოფლიომ იცის რას წარმოვადგენთ.

## პოლიტჭკიპურტები

„ჩვენ მიგვაჩნია, რომ არ არის საჭირო გვყავდეს მტერი, თუ გვყავს ისეთი მეგობარი, როგორიცაა აშშ-ს ფინანსთა მინისტრი ჯონ კონელი“.

**პიერ ელიოტ ტრიუდო,**
კანადის პრემიერ-მინისტრი.

არსებობს ყველა შანსი, რომ შესაძლოა ჩვენს მთავრობას კუჭი აეშალოს, რადგან მას ხშირად უხდება საკუთარი სიტყვისა და დაპირებების უკანვე გადაყლაპვა.

**გ. უოლდენი,**
ბრიტანეთის პარლამენტის წევრი.
ჟურნალი „ზა რუბეჟომ“